ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4122555

ნომერი: AR1619210

თარიღი : 27.07.2018

გაცემის თარიღი : 15.08.2018

გაცნობის თარიღი : 15.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , (ნაკვეთი 03/019) ; ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ორგანიზაცია:

- შპს "ჯეოსელი" კოდი: 203841940

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

წარმოადგინეთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, მასზე გარკვევით დაიტანეთ კარის ღიობი და გაითვალისწინეთ, რომ თუ კარის ღიობის გაჭრა ხდება არსებულ #3/1 შენობა-ნაგებობაზე, აღნიშნულით ირღვევა მიჯნა, რაზედაც სამსახური წერილობით დასტურს ვერ გასცემს; ხოლო იმ შემთხვევაში თუ კარის გაჭრა ხდება ღობეზე, წარმოსადგენი გექნებათ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

წარმოადგინეთ საპროექტო ფოტომონტაჟი შესაბამისი ექსპლიკაციის დატანით, გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

ასევე, იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხებით სარგებლობით გაცემულ ფართებს, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე, ან დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად. ასევე, ვინაიდან ერთ-ერთ სარგებლობას ვადა აქვს გასული, თუ ფართი აღარ გაქვთ სარგებლობით გაცემული განახლდეს ამონაწერი და სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.